პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

14 ოქტომბერი, შაბათი, 1989 წ.
№ 197 (10 116) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეოკ-ის დამფუძნებელ კონფერენციაზე...

## გზა აღიარებისაკენ

**ძვირფასო მკითხველებო,** ქართული სპორტის გულშემატკივრებო! როგორც თქვენთვის ცნობილია, ამ ერთი კვირის წინათ, 6 ოქტომბერს თბილისში ჩატარდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დამფუძნებელი კონფერენცია. ჩვენი სამშობლოს ისტორიაში ეს ღირსსახსოვარი მოვლენა ოქროს ასოებით შევა — დაიწყო ახალი და ჭეშმარიტი ერა საქართველოს ოლიმპიურ მოძრაობაში. განვლილი ერთი კვირა კონფერენციის სტენოგრაფიული ჩანაწერის გასრულებას მოუნდა. გუშინ უკვე ხელთ გვქონდა სრული მასალები, რომლებშიც მუდამ ილოცლებს ის ენთუზიაზმი და სულისკვეთება, რაც დამფუძნებელ კონფერენციაზე სუფევდა.

ისევე, როგორც საინიციატივო ჯგუფის სხდომებზე, დამფუძნებელი კონფერენციის მთლიანი მსვლელობა სტენოგრაფიულად ჩაიწერა ორმა შესანიშნავმა სპეციალისტმა, ქალბატონებმა ტასო მაყაშვილმა და ნუნუ მესხმა. გუშინ, როცა ქალბატონმა ტასომ მასალები გადმოგვცა, გვითხრა, რომ მთელი ეს სამუშაო მათ უსასყიდლოდ გასწიეს, და ეს არის მათი მოკრძალებული წვლილი სეოკ-ის საკეთილდღეოდ.

რაკი მასალები ხელთა გვაქვს დღეიდან უკვე ჩვენ შეგვიძლია „ლელოს" მეშვეობით მკითხველთა ფართო აუდიტორიას გავაცნოთ ისინი. დღეს გთავაზობთ კონფერენციაზე ორ გამოსვლას. აქვე, დავძენთ, რომ გაზეთ „კომუნისტის" დღევანდელ ნომერში იბეჭდება დამფუძნებელ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენების საგაზეთო ვარიანტი).

**დავით ციმაკურიძე — საქართველოდან პირველი ოლიმპიური ჩემპიონი, რესპუბლიკის ოლიმპიურ ჩემპიონთა კლუბის პრეზიდენტი:**

„მე მინდა მოკლედ შევეხო წარსულს, რომელიც ასახავს ჩვენი ოლიმპიელების განვლილ მძიმე, ეკლიან გზას. ყველაფერი ხელის ჩამორთმევით და არც ისე მეგობრულად წყდებოდა, როგორც სახავდნენ. გავიხსენებ 1952 წელს. 1948 წელს არ შევეხები, არ გაგვიშვეს მაშინ ოლიმპიადაზე, ეს გასაგებია! 1952 წელს ჰელსინკის ოლიმპიადისთვის ორი ფალავანი ვახტანგ ბალავაძე და გივი კარტოზია რამდენჯერმე შეამოწმეს, ისინი ნომერ პირველ წევრებად იყვნენ დამტკიცებული, მაგრამ... ორივე მაყურებლის როლში გამოიყვანეს...

დიდად მოხარული ვარ ოლიმპიური კომიტეტი რომ იქმნება ჩვენთან, ამის შემდეგ ჩვენს ახალგაზრდებს გული აღარ გაუტყდებათ. ჩვენ ისეთი ახალგაზრდობა გვყავს, რომ ისინი ღირსნი არიან ოლიმპიურ გუნდში იყვნენ მთლიანად თავისი შემადგენლობით".

**რამაზ გოგლიძე — სამოყვარულო კრივის ევროპის კონფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი:**

პატივცემულო საზოგადოებავ! ეს ნამდვილი დღესასწაულია, დიახაც სასწაული დღეა არა მარტო საქართველოს სპორტული, ოლიმპიური მოძრაობისათვის, არამედ მთელი ერის კულტურული, პოლიტიკური ცხოვრებისათვის.

საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის შექმნა დიდი საქმეა, უფრო სწორად, დიდი საქმის მხოლოდ კარგი დასაწყისია. წინ დიდი სამუშაო მოგველის. ყველამ ყველაფერი უნდა იღონოს, ვისაც რა შეუძლია და ხელეწიფება.

საქართველოს სპორტსახკომმა და საქართველოს კრივის ფედერაციამ მიმართეს ევროპის კრივის კონფედერაციას, რომელიც სექტემბერში პარიზში გაიმართა, რათა განეხილათ სრულუფლებიან წევრად საქართველოს კრივის ფედერაციის მიღების საკითხი.

მე დამაგვიანდა კონგრესზე ჩასვლა ვიზის უქონლობის გამო. გადაუწყვეტიათ კონგრესის ჩატარება ბრიუსელში, რაც მოხერხებულია ევროპელებისათვის და ეკონომიურიც არის. მე მაინც წამოვაყენე წინადადება კონგრესის თბილისში ჩატარების თაობაზე. ამ განცხადებამ იმდენად დიდი ინტერესი გამოიწვია, რომ ძალიან სერიოზულად დაიწყეს შეთავაზებული წინადადების განხილვა.

ჩვენი ერის დიდი მეგობარია ევროპის კონფედერაციის პრეზიდენტი იტალიელი ალდონოტარი. მოდის დეპეშები, რომ თბილისის სასარგებლოდ გადაწყდება ჩვენი საკითხი.

ჩვენ ვალუტა უკვე ნაშოვნი გვაქვს იმისათვის, რაც კონფედერაციაში გაწევრიანებას ესაჭიროება, მაგრამ უფრო ძნელია იურიდიული მხარის მოგვარება. თუ ყველაფერი კარგად დამთავრდა, ეს იქნება ერთი აუცილებელი ნაბიჯი ოლიმპიური საქართველოს აღიარებისათვის. ამ საკითხებზე საუბარი მქონდა ბატონ ხუან ანტონიო სამარანჩთანაც".

**რედაქციისგან: გუშინ ცნობილი გახდა, რომ მიღებულია საბოლოო გადაწყვეტილება — კრივისა და ხოკეის ევროპის კონფედერაციის კონგრესი გაიმართება თბილისში 1990 წლის თებერვალში. კონგრესზე ჩამოვლენ კონფედერაციის ყველა ხელმძღვანელი ორგანოს წარმომადგენლები და დელეგატები ევროპის ყველა ქვეყნიდან, სადაც კრივია დანერგილი.**

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

## ექსტრემალურ სიტუაციაში

**12 ოქტომბერი. თბილისი. კიროვის სახელობის პარკის ბავშვთა კალათბურთის სასახლე.**

**„დინამო" (თბილისი) — ცსკა 95:98 (45:52).**

**„დინამო": კროპაჩოვი (20), კოლიჩევი (20), დაუშვილი (18), ხანაძე (9), ფერიაშვილი (8), ვაშაკიძე (6), უსტიაშვილი (4), ტალაბაძე (4), კორძაძე (3), ცხვედიანი (3).**

**ცსკა: პოპოვი (22), ბერეჟნოი (22), ტკაჩენკო (22), გუსევი (17), მელეშკინი (8), კორნევი (4), რეზცოვი (2), კოჩერგინი (1).**

მსაჯები: ს. ფომინი (ლენინგრადი) და ვ. ბიჩკოვი (მოსკოვის ოლქი).

**მატჩი** მოსკოვის არმიელებთან ალბათ ყველაზე მკაცრი გამოცდა იყო „დინამოსათვის" იმ ექსტრემალურ სიტუაციაში, რომელშიც ამჟამად იგი იმყოფება. და უნდა

იხ. მე-2 გვ.

მსოფლიოს ჩემპიონატი ძიუდოში

## ოქროს ფინალი

### კობა კურტანიძე მსოფლიოს ჩემპიონია



კობა კურტანიძე

**იმდენად** დაგვიანა ბელგრადიდან საკდესის ცნობამ ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატის პირველი შედეგების შესახებ, რომ რედაქციაში ვხუმრობდით კიდეც: ნამდვილად კობა კურტანიძე გახდა ჩემპიონი. ისე აგვხდენოდეთ ყველა კეთილი ნატვრა, როგორც ეს ვარაუდი (და დიდი სურვილიც) აგვიხდა — 25 წლის გორელი ფალავანი, ყველასათვის ცნობილი, ტიტულოვანი მოჭიდავე პირველად გახდა მსოფლიო. ჩემპიონი 95 კგ წონით კატეგორიაში.

თუმცა საკუთარი ტრიუმფისას იგი 25 წლისაც არ ყოფილა, სწორედ ჩემპიონობის მეორე დღეს გადააბიჯა მეოთხედ საუკუნეს. უკეთეს საჩუქარს დაბადების დღისათვის კაცი ალბათ ვერც ინატრებდა.

საკდესის ორი დღის დაგვიანებულ (!) ცნობაში კი ეწერა, რომ კობა კურტანიძემ ფინალში მონღოლი ბალჯუნიან ოდვოიგენი დაამარცხა. შემდეგ ტელევიზორშიც აჩვენეს ამ შერკინების პერიპეტიები.

— თქვენ კურტანიძის წინასწარი შეხვედრები უნდა გენახათ! — აღტაცებით იძახოდა ცენტრალური ტელევიზიის დიქტორი და სინანულს გამოთქვამდა, რომ ისინიც არ ნახა ტელემაყურებელმა. მისი სიტყვებით, მართლაც ლამაზი საცქერი ყოფილა კობას ეფექტური გამარჯვებები. მან ზედიზედ წმინდად დაამარცხა კანადელი ჯეიმს კენდრიკი, სამხრეთკორეელი ვუ ტაი კუ და ისლანდიელი ბარნი ფრიდრიკსონი. შემდეგ, ფინალში გასასვლელ შეხვედრაში, შეუპოვარი ბრძოლა ჰქონდა სეულის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანთან, მარკ მაილინგთან (გდრ), მსაჯებმა უპირატესობა კვლავ კურტანიძეს მიანიჭეს.

ფინალი კი ფინალია, სადაც შეცდომის დაშვება არ შეიძლება. ქართველმა ფალავანმა დიდი ყურადღებით ჩაატარა. გადამწყვეტი შერკინება და მოიპოვა ის უპირატესობა, რომელიც მსაჯებმაც კარგად დაინახეს და გამარჯვება მიაკუთვნეს. კობა კურტანიძე რიგით მეორე ქართველი მსოფლიო ჩემპიონი გახდა (თემურ ხუბულურის შემდეგ) ძიუდოში. ორივე ერთ — 95 კგ წონაში გახდნენ ჩემპიონები (ხუბულური — ორჯერ). ბელგრადში მესამე ადგილზე გავიდა მრავალნაცადი, პირდაპირ უბერებელი ბელგიელი რობერ ვან დერ ვალე — ჩვენი ფალავნების მუდმივი მეტოქე. ამ ბრწყინვალე ძიუდოისტთან შეხვედრებში ხუბულურსაც და კურტანიძესაც საგრძნობი უპირატესობა აქვთ, ოღონდ ისიც უნდა ითქვას, რომ მოსკოვის ოლიმპიადაზე სწორედ ბელგიელმა მოჭიდავემ დააკარგვინა „ოქრო" თემურ ხუბულურს.

კობა კურტანიძეს აქამდე მსოფლიო არენაზე არ უმართლებდა, თორემ საბჭოთა კავშირში და ევროპაშიც ბოლო წლებში ტოლი არ ჰყავდა: ორჯერ გახდა კონტინენტის ჩემპიონი და ხუთჯერაც, — ეს მართლაც ძალზე იშვიათი შემთხვევაა, — ქვეყნის ჩემპიონატში გაიმარჯვა. ახლაც კი სინანულით უნდა გავიხსენოთ, თუ როგორ ვერ გაემგზავრა ტრავმის გამო კურტანიძე სეულში, სადაც მის წონაში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ბრაზილიე-

იხ. მე-4 გვ.

## მაია ჩიბურდანიძის მონაწილეობით

**სოჭში** გრძელდება ჩიგორინის ხსოვნისადმი მიძღვნილი 23-ე საერთაშორისო ტურნირი და ქალთა 24-ე საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში.

ვაჟთა ტურნირში მონაწილეობს მსოფლიო ჩემპიონი ქალთა შორის მაია ჩიბურდანიძე. ახლა მაიას 4 ქულა აქვს 8 შესაძლებლიდან (6 ყაიმი, 1 მოგება და 1 წაგება).



შეტევაზეა დათო დაუშვილი.
ა. კოტორაშვილის ფოტო.

## ქალთა ფეხბურთის დღესასწაული ხობში

**თბილისელებს** კარგად ახსოვთ ამ რამდენიმე წლის წინათ პირველი მატჩი „დინამოს" სტადიონზე ქალთა საფეხბურთო გუნდების მონაწილეობით. ამას წინათ, ასეთი დღესასწაული შედგა ხობში, სადაც 15 ათასამდე მაყურებელი დაესწრო ქალ ფეხბურთელთა საინტერესო შეხვედრას. ერთმანეთის პირისპირ დადგნენ მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტისა და თბილისის „ივერიის" გუნდები. 2:1 გაიმარჯვეს ქართველმა გოგონებმა. მასპინძელთაგან ორივე ბურთი ზინა ორჯონიკიძემ გაიტანა.

## კვლავ წყალში მხტომელები

**სპორტის** ამ სახეობის წარმომადგენლები თითქმის ყოველთვის გვანიჭებენ სიხარულს. აი, ახალი ცნობა: პროფკავშირთა საკავშირო პირველობაში 1973 წელს დაბადებულ და უფრო უმცროსი ასაკის სპორტსმენებს შორის კოშკიდან ხტომაში პირველი ადგილი დაიკავა თბილისელმა იანა ოგანესიანმა. მასვე III ადგილი ხვდა საერთო ფიზიკურ მომზადებაში გამართულ ოფიციალურ შეჯიბრებაში. ბიჭებს შორის ივერი ბარამიძე (თბილისი) მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა.

პასუხი „ლელოს" — ქმედითობა

## „რატომ არ მიუხარიათ?"

**გაცნობებთ, რომ გაზეთ „ლელოს" 1989 წლის 16 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „რატომ არ მიუხარიათ", რომელიც ეხებოდა ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობების სპორტულ ბაზებზე არსებულ ნაკლოვანებებს, მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება.**

**წერილში აღნიშნული ნაკლოვანებების შესახებ, ამას წინათ, იმსჯელა ზუგდიდის სახალხო დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომმა და მდგომარეობის გამოსასწორებლად დასახა კონკრეტული ღონისძიებები.**

**ამჟამად მდგომარეობა ძირითადად სწორდება. კორცხელის, ნაცატუს, ჩხორიასა და ტყაიაში ფეხბურთის მოედნები სოფლის ახალგაზრდობის ძალებით დასუფთავდა და სრულ სანიტარულ წესრიგშია მოყვანილი, ხოლო სოფელ ორსულუში მომავალი წლისათვის დაგეგმილია მარტივი ტიპის სპორტული მოედნის მოწყობა.**

**ი. ქუტალია,**
**ზუგდიდის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

SOS

„სიცრუე და ორპირობა
აჩნევს ხორცსა
მერმე „სულსა"...

# გრძელფეხებიანი ტყუილი





სახელგანთქმულ გინესის წიგნში ერთ-ერთ საპატიო ადგილს დაიკავებდა უპირობისა და სიცრუის ის სარეკორდო ფაქტები, რომლებიც ოლიმპიური რეზერვების რესპუბლიკური სასწავლებლის (ადრე მას ინტერნატი ეწოდებოდა) კაპრემონტთანაა დაკავშირებული. სწორედ ამ გაჭიანურებული რემონტის ნიადაგზე აღმოაჩინე ახალი ჭეშმარიტება — ტყუილს სანდახან ფეხები უგრძელდება და ახერხებს დაიმალოს. თუმცალა მისი გაუჩინარება ძალიან ჰგავს სირაქლემას მცდელობას — თავს რომ ქვიშაში ჩარგავს და ჰგონია მტერი ველარა მხედავსო...

ჩვენს რესპუბლიკაში ახალი სასწავლო წლის მაუწყებელი ზარი უკვე აწკრიალდა, ოლიმპიური რეზერვების რესპუბლიკური სასწავლებელი კი, ისევე როგორც შარშან, ცოდნის დღესასწაულს დუმილით შეხვდა, წელსაც საერთო ფერხულში ვერ ჩადგა. ყოველივე ამაში მშენებელი ორგანიზაციების „სიცრუესა და ორპირობას" უდევს ლომის წილი, მაგრამ, მოდით, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ამ კაპრემონტის „ფაბულა", რომელსაც ათამდე წერილი მივუძღვენით.

შარშან ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილის შემდეგ, რომელიც ეხებოდა მაშინდელი ინტერნატის აუტანელ საყოფაცხოვრებო თუ საწვრთნელ პირობებს, საქართველოს მინისტრთა საბჭოს 15 ივლისის განკარგულებით, დაიწყეს რემონტი, რომელიც მიმდინარე წლის 30 სექტემბერს უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ დამთავრების გრაფიკმა შემდეგ ასეთი სახე მიიღო:

— ნოემბრის არდადეგები.
— მომავალი წლის ზამთრის არდადეგები.
— 20 სექტემბერი.
— 31 დეკემბერი.
— ?

ინტერნატის საქმესთან დაკავშირებით ორჯერ სადირექტივო ორგანოებში და სახალხო განათლების სამინისტროშიც გაიმართა თათბირები. მშენებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელები წარბშეუხრელად დებდნენ პირობას, რომ დათქმულ ვადაში აუცილებლად შეასრულებდნენ მათზე დაკისრებულ საქმეს. ერთადერთი გაუგებრობა შეიქმნა ამა წლის მარტში (!), როდესაც კომუნალური მშენებლობის სამშენებლო-სარემონტო და „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის" სამმართველოები ვერ შეთანხმდნენ იმის თაობაზე, თუ ვის უნდა ჩაეტარებინა სანტექნიკური სამუშაოები. სამინისტრომ „პრიორიტეტი" ამ უკანასკნელს მიანიჭა. ეგ იყო და ეგ, ყველა ორგანიზაციამ კვლავ დაადასტურა მზადყოფნა, წინააღმდეგი არავინ ყოფილა, თავიც არავის შეუკავებია.

ამ თათბირებისთვის ვინმე უცხო კაცს რომ ესმინა, ეჭვიც არ შეეპარებოდა მშენებელთა გულწრფელობაში, მაგრამ „ავიამშენის" № 20 სარემონტო-სამშენებლო სამმართველო, რომელიც დეკემბრიდან ინტერნატის ტერიტორიაზე საერთოდ აღარ გამოჩენილა, არც მარტის თათბირს შეეპუა. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ სიცრუესა და ორპირობაში ყველას მაინც „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის" სანტექმონტაჟის სამმართველომ (მმართველი გივი გამყრელიძე) აჯობა და ამ მხრივ საგრძნობლად გაუსწრო „მეტოქეებს", ამაზე მეტყველებს ის აურაცხელი ჩანაწერები, სადაც მათი წარმომადგენლები, როგორც წესი, ენერგიულად იძლეოდნენ დაპირებებს — ამ კვირას რაღა იქნება და მომავალი კვირიდან საქმეს შევუდგებითო. სინამდვილეში კი თითი თითზე არ დაუდიათ — ის ადგილები, სადაც სანტექნიკური სამუშაოები უნდა ჩატარებულიყო, რემონტის დროს ღიად დატოვეს.

ძნელია გარედან მაყურებელი კაცის პოზიცია, მშენებლებს, ცხადია, სუბიექტურთან ერთად ობიექტური მიზეზებიც ჰქონდათ, მაგრამ ჩვენ, ამ შემთხვევაში, სხვა რამ გვაწუხებს. ვთქვათ ის, ვინც ტყუილს ამბობდა, იძულებული იყო გარკვეული მიზეზის გამო ასე მოქცეულიყო, მაგრამ ვისაც ატყუებდნენ (ზემდგომ ორგანოებს ვგულისხმობთ), რატომ ხუჭავდნენ თვალს, არ სჯიდნენ მატყუარებს?

მშენებლების ლიტონმა დაპირებებმა ის სავალალო შედეგი გამოიღო, რომ სასწავლებელს წელსაც არა აქვს ფონდირებული მასალები. მათ რომ რემონტზე თავიდანვე უარი განეცხადებინათ, სასწავლებელს შარშან გეგმიური კაპრემონტის სიაში შეიტანდნენ, რაც საქმეს საგრძნობლად გააადვილებდა.





ასე იარა სიცრუემ თავისი გრძელი ფეხებით აპრილამდე, სანამ სახალხო განათლების სამინისტრომ სასწავლებელი ბალანსიდან ბალანსზე არ გადასცა რესპუბლიკის სპორტსახკომს. აქ მან ცოტა ხანს შეისვენა, რადგან, ამ თვეში, მისთვის არავის ეცალა და კვლავ განაგრძო თავისი „ტრიუმფალური" სვლა, თუმცა ამჯერად წინააღმდეგობები შეხვდა — სასწავლებლის ახალმა პატრონმა გადაწყვიტა, რომ იმ რვა „ძიძიდან", რომელიც თავიდან გაუმწესეს სასწავლებელს, ნახევარი შეემცირებინა და თათბირების მაგივრად ყურადღება საქმეზე გადაეტანა. ამან გარკვეული შედეგები გამოიღო — სანტექმონტაჟის მაგიერ 15 აგვისტოს სასწავლებლის ტერიტორიაზე შემოვიდა სახაგრომრეწვის № 15 მოძრავმექანიზებული კოლონა, რომელმაც გარდა სანტექნიკური სამუშაოებისა, „ავიამშენებლის" გასაკეთებელი საქმე — ეზოს კეთილმოწყობა და გამწვანებაც ითავა (ამავე ორგანიზაციის მიერ მიტოვებული სტადიონის მშენებლობა სპორტსახკომის სამშენებლო სამმართველომ იკისრა).

მოძრავმექანიზებული კოლონა მონდომებით შეუდგა საქმეს. დილიდან დაღამებამდე თავს არ ზოგავდნენ. დღე ერთია და მათი უფროსი მერაბ ლაცაბიძე რამდენჯერმე რეკავს სასწავლებელში, აინტერესებს შეფერხებები ხომ არ ხვდებათ. ასეთ მონდომებას მოჰყვა ის, რომ მთლიანად დამთავრდა საკანალიზაციო ტრასა, № 1 საძინებელი კორპუსის, სანტექმონტაჟი, იგივე საქმეს სასწავლო კორპუსშიც დაასრულებენ.

სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით თბილგვირაბმშენზე (უფროსი უშანგი გოჯიაშვილი), რომელიც მთვარე-მთვარეზე გამოჩნდება ხოლმე და ასათვისებელი ორმოციათასი მანეთიდან დღემდე მხოლოდ ნახევარი დახარჯა (იგი სასადილოსა და ფოიეს არემონტებს).

მუშაობის ახალი გრაფიკი მოიგონეს „საქენერგომონტაჟის" (უფროსი გიორგი გამყრელიძე) თანამშრომლებმა — კვირაში ერთ დღეს მუშაობენ, დანარჩენ დროს კი ისვენებენ. მათი „რუდუნების" შედეგია, რომ გაკეთებულია საქმის მხოლოდ მესამედი. არადა ხელებდაკაპიწებული შრომაა საჭირო — შემოსაყვანია მაღალი და დაბალი ძაბვის კაბელები, გარე და შიდა განათება. საჭიდაო და საფარიკაო დარბაზებში, აგრეთვე საცურაო აუზში კი საერთოდ არ შეუხედიათ. სამი კვირის წინათ გიორგი გამყრელიძე შეპირდა სპორტსახკომის ხელმძღვანელობას, რომ ყველა სამუშაოს ნოემბრისთვის დაამთავრებენ.

იმ რვა ორგანიზაციიდან, რომელსაც სარემონტო სამუშაოები ჰქონდა დავალებული, ყველაზე დიდი ერთგულება გამოამჟღავნეს კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, „ამიერკავკასტრამმშენმა" და „სპორტმშენმა". მათ რემონტის დაწყების დღიდან საქმისთვის არ უღალატიათ.

ლევან ბოლქვაძე (სასწავლებლის დირექტორი) — 1 ოქტომბრისათვის სარემონტოდ გამოყოფილი მილიონ ორასი ათასი მანეთიდან მხოლოდ ნახევარია ათვისებული. ახლა მთავარი სამშენებლო მასალის შოვნაა. გვაკლია 700 კვ. მეტრი კაფელი, უმეტესობა იმპორტული უნდა იყოს, რადგან თბილისური საკმაოდ „ნაზია" და ქლორიანი წყლის შეხებაზე იშლება; საჭიროა 300 კუბომეტრი დახერხილი ხე-ტყე (საჭიდაო და საერთო ფიზმომზადების დარბაზებისათვის, აგრეთვე საუნისათვის), პირსაბანები, უნიტაზები, 30 ტონა ცხელი და ცივი წყლის მილები, 1000 სექცია რადიატორი, 3 კმ სიგრძის მაღალი ძაბვის კაბელი, 15 ათასი აგური, ცემენტი და მიწა ფეხბურთის მოედნებისთვის. სპორტსახკომის ხელმძღვანელობამ ამის შესახებ უკვე აცნობა საქართველოს მინისტრთა საბჭოს. თუ ზემოხსენებული მასალები დროულად შემოვიდა, რემონტი ორ თვეში დამთავრდება.

ალბათ ბევრს დაებადა შეკითხვა — სად არიან ის მოსწავლეები, რომლებიც სასწავლებლებში ირიცხებიან? ახლა ჩვენც სწორედ ამ კითხვით მივმართეთ სასწავლებლის დირექტორს.

— ჩვენთან სულ 421 მოსწავლე ირიცხება, აქედან 220 ფილიალებში — მცხეთაში, ბაკურიანში, საჩხერეში, დიდ ჯიხაიშში და თბილისში (უმაღლესი დაოსტატების ტანვარჯიშის სკოლაში) სწავლობენ, დანარჩენი 200 მოსწავლე, იმის გამო, რომ რემონტი ასე გაჯანჯლდა — თბილისის 4 სპორტულ ბაზაზე გავანაწილეთ. იქვე ცხოვრებენ და იკვებებიან. რაც შეეხება სასწავლო პროცესს, დროებით, სანამ საშველი დაგვადგება, მათთან ჩვენი პედაგოგები ივლიან. დაფები და სხვა საჭირო ინვენტარი ადგილებზე მივუტანეთ.

ამას წინათ პრესაში გამოქვეყნდა ინფორმაცია, სადაც ნათქვამი იყო, რომ ინტერნატში სწავლის პერიოდში მოსწავლეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში არ გაიწვევენ. სამწუხაროდ, მე მაშინ ბიულეტენზე გახლდით და ჩვენმა თანამშრომელმა უზუსტობა დაუშვა. საქმე ისაა, რომ ჩვენი ინტერნატი სწავლის პერიოდში ჯარიდან ტოვებს მხოლოდ იმას, ვინც საშუალო სკოლას ჩვენთან ამთავრებს და არა ყველას, როგორც პრესაში დაიწერა.

„ლელოს" საკორესპონდენტო პუნქტმა, ამჯერად ოლიმპიური რეზერვების სასწავლებელში, კვლავ განაახლა მუშაობა. ინფორმაციებს რემონტის მიმდინარეობის შესახებ პერიოდულად შემოგთავაზებთ.

ჯემალ კასრაძე.
ავტორის ფოტოები.

# ექსტრემალურ სიტუაციაში

(დასასრული)

ითქვას, რომ დაკარგული ქულის მიუხედავად მაყურებლებმა კმაყოფილების გრძნობით დატოვეს თბილისის კიროვის სახელობის პარკის ბავშვთა კალათბურთის სასახლე. ეს ზუსტად ის შემთხვევა გახლდათ, როცა წაგებული ბრძოლაც კი რაღაც საიმედოდ განგაწყობს ხოლმე.

არა და „დინამო" დღეს უკიდურესად ექსტრემალურ სიტუაციაში იმყოფება, რაც, პირველ რიგში, გამოცდილ კალათბურთელთა მწვავე დეფიციტით უნდა ავხსნათ. არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ სეზონის დასაწყისისთვის გუნდს რამდენიმე საჭირო მოთამაშე გამოაკლდა (თუმცა, ვინ იცის, იქნებ ეს უკეთესიც იყო). არაფერს ვამბობთ იმაზეც, რომ ტრავმის გამო ვერ იქნა და ვერ ჩადგა მწყობრში საკვანძო რგოლის მოთამაშე გელა დარსაძე. და აი, ყველაფერ ამას კიდევ ერთი მძიმე დანაკლისი დაემატა. ტრავმირებულია და ცსკასთან საასპარეზოდ ვერ გამოვიდა თბილისელთა მთავარი ცენტრალური თავდამსხმელი კახაბერ შენგელია.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „დინამო" დღეს-დღეობით საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეთა შორის ყველაზე „ახალგაზრდული" გუნდი გახლავთ, ადვილი გასაგები უნდა გახდეს თუ რატომ ვამახვილებთ მკითხველის ყურადღებას ასე მძაფრად ექსტრემალურ სიტუაციაზე. აი, ასეთი არასრული შემადგენლობით მოუხდათ თამაში თბილისელებს ჩვენი კალათბურთის აღიარებულ ლიდერთან — ცსკა-სთან.

დარწმუნებული ვართ ვიღაცა უსათუოდ შეგვეპასუხება, რომ შემადგენლობასთან დაკავშირებით არმიელებსაც ჰქონდათ გარკვეული პრობლემები. ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ განა შეიძლება თბილისის დინამოელთა რეზერვის შედარება არმიელთა „სკამთან?" ერთი სიტყვით, გუშინწინდელ მატჩში დინამოელებს უმძიმესი გამოცდის ჩაბარება მოუხდათ და რომ გუნდის დღევანდელ მდგომარეობას ქულების დეფიციტი არ ამძიმებდეს, კმაყოფილების გრძნობით ვიტყოდით, რომ გამოცდამ წარმატებით ჩაიარა.

მაგრამ ვაი რომ დღეს, პირველ რიგში, შედეგზეა საჭირო ფიქრი, რათა ჩემპიონატის დასასრულს გუნდი ცაიტნოტში არ აღმოჩნდეს.

მატჩის პირველი ნახევარი, გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, თანაბარი ბრძოლით აღინიშნა და თუ არმიელებმა ერთგვარ წარმატებას მაინც მიაღწიეს, ეს, ცხადია, მოსკოვის კალათბურთელთა გამოცდილებას უნდა მივაწეროთ. თორემ, ვიმეორებთ, ძალები მატჩის ამ მონაკვეთში თანაბარი იყო. მასპინძელთა შორის საკმაოდ სოლიდური შთაბეჭდილება დატოვა დაუშვილმა, რომელსაც განსაკუთრებით მარჯვედ გამოსდიოდა სამქულიანი სროლები (პირველ ნახევარში მან ოთხი ასეთი ეფექტური ტყორცნა განახორციელა). სასარგებლოდ თამაშობდა ჩვენი მთავარი გამთამაშებელი უსტიაშვილიც. მონდომება არც გუნდის სხვა წევრებს აკლდათ.

შესვენების შემდეგ, როცა არმიელები მაინც დაწინაურდნენ, „დინამომ" შესაშური ხასიათი და ბრძოლის უნარი გამოამჟღავნა. ეს თვისება, სხვათა შორის, გუნდს



აკლდა შარშანდელ ჩემპიონატში. და თუ მან წლევანდელი ტურნირის სხვა მატჩებშიც გამოაჩინა ასეთი მტკიცე ხასიათი, დარწმუნებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ თბილისელებს ერთი წლის მანძილზე გარკვეული პროგრესისთვის მიუღწევიათ.

განმეორებით შეხვედრაში თბილისის ახალგაზრდა კალათბურთელებს ალბათ უფრო გაუჭირდებათ. ეს ლოგიკურიც არის. თანაც მეტოქე ძალზე ძლიერია, მაგრამ ბრძოლა ამ შემთხვევაშიც საჭირო არის. დღევანდელი „დინამოს" ბედი ახალგაზრდობის ხელთაა და მათ უნდა დაამტკიცონ, რომ მეტის გაკეთება შეუძლიათ.

ნ. ბუზუშვილი.

## სხვა მატჩები

**ვილნიუსი.** ადგილობრივი „სტატიბასა" და დონეცკის „შახტიორის" ორთაბრძოლაში მეტოქეებმა თითო შეხვედრა მოიგეს: 106:84 (53:37) და 70:79 (29:30).

**ალმა-ათა.** ყაზახეთის დედაქალაქის არმიელებმა პირველ შეხვედრაში დაამარცხეს ქვეყნის ჩემპიონი კიევის „ბუდიველნიკი" 107:103 (47:45).

**მოსკოვი.** პირველი შეხვედრა წააგო კაუნასის „ჟალგირისმაც" აქ, მოსკოვის „დინამოსთან" 80:100 (33:58).

## გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 13 ოქტომბრისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „კალევი" (ტალ.) | 8 | 7 | 1 | 15 |
| ცსკა | 7 | 6 | 1 | 13 |
| ვეფ (რიგა) | 8 | 5 | 3 | 13 |
| ასკ (ალმა-ათა) | 7 | 4 | 3 | 11 |
| „ბუდიველნიკი" (კ.) | 7 | 4 | 3 | 11 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 7 | 4 | 3 | 11 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 8 | 3 | 5 | 11 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 7 | 3 | 4 | 10 |
| „სტატიბა" (ვილნიუსი) | 8 | 2 | 6 | 10 |
| რტი (მინსკი) | 6 | 2 | 4 | 8 |
| „სპარტაკი" (ლენ.) | 6 | 2 | 4 | 8 |
| „დინამო" (თბ.) | 7 | 1 | 6 | 8 |

## სსრ კავშირის პირველობა ● ფეხბურთი

## I ლიგა

**11 ოქტომბერს** გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების გამოტოვებული შეხვედრები, რომლებშიც საქართველოს გუნდები მონაწილეობდნენ.

**ქუთაისის** ტორპედოელებს 9 აპრილს გათამაშების II ტურში საკუთარ მინდორზე უნდა მიეღოთ სიმფეროპოლის „ტავრია". ბუნებრივია, მაშინ ამ მატჩის ჩატარება შეუძლებელი იყო და მეტოქეები მხოლოდ ახლა შეხვდნენ ერთმანეთს.

ტორპედოელებმა საუკეთესოდ ითამაშეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0. მათი უპირატესობა განსაკუთრებით შესამჩნევი იყო მეორე ტაიმში, სამივე ბურთიც სწორედ მაშინ იქნა გატანილი. 2 გოლი ეკუთვნის ლიგის საუკეთესო ბომბარდირს მეგრელაძეს, „ტავრიის" კარი პირველად მან 49-ე წუთზე აიღო, ხოლო მეორედ — 62-ე წუთზე, მესამე გოლის ავტორია ბაკურაძე.

**გადადებული** იყო, აგრეთვე, 3 ივლისის მატჩი ბათუმის „დინამოსა" და ლანჩხუთის „გურიას" შორის.

შეხვედრის 35-ე წუთზე ანგარიში გახსნა ბათუმელმა ზედანიამ, სამიოდე წუთის შემდეგ კი თანაფარდობა აღადგინა ლანჩხუთელმა კორძაიძემ — 1:1. ტაიმის ბოლოს, 45-ე წუთზე, მინსკელმა არბიტრმა ვ. ქუკმა მასპინძელთა სასარგებლოდ 11-მეტრიანი დანიშნა და აფციაურმა წინ გაიყვანა დინამოელები — 2:1.

მიმდინარეობდა თამაშის 57-ე წუთი, როცა 11-მეტრიანის დარტყმის უფლება მიეცა „გურიას", ქორდანიამ ზუსტად გაგზავნა ბურთი მიზანში — 2:2. ამის შემდეგ ჯერ გურულმა, შემდეგ თევზაძემ კიდევ ორჯერ აიღეს დინამოელთა კარი, რასაც 89-ე წუთზე ბიგვავას ერთი საპასუხო ბურთი მოჰყვა. საბოლოოდ, თამაში დამთავრდა ლიგის ერთ-ერთი ლიდერის ლანჩხუთის „გურიის" გამარჯვებით — 4:3.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 14 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 36 | 22 | 10 | 4 | 87-23 | 54 |
| „გურია" | 37 | 22 | 9 | 6 | 65-35 | 53 |
| „კაირატი" | 37 | 21 | 8 | 8 | 68-31 | 50 |
| „ფაკელი" | 36 | 16 | 10 | 10 | 43-32 | 42 |
| „ნეფთჩი" | 36 | 15 | 12 | 9 | 49-36 | 42 |
| „დინ." სტ. | 36 | 15 | 11 | 10 | 44-37 | 41 |
| „მეტალ." | 36 | 16 | 8 | 12 | 49-35 | 40 |
| „ფახთაქ." | 37 | 15 | 10 | 12 | 50-33 | 40 |
| „ტავრია" | 37 | 15 | 10 | 12 | 56-49 | 40 |
| „ნისტრუ" | 37 | 17 | 4 | 16 | 39-52 | 38 |
| „გეოლოგი" | 37 | 16 | 6 | 15 | 46-44 | 38 |
| „კოტაიკი" | 36 | 13 | 12 | 11 | 41-34 | 38 |
| „ტორპედო" | 36 | 16 | 5 | 15 | 59-59 | 37 |
| „სპარტაკი" | 36 | 11 | 10 | 15 | 42-49 | 32 |
| „დინამო" ბ. | 37 | 11 | 10 | 16 | 36-54 | 32 |
| „როსტსელ." | 36 | 10 | 12 | 14 | 34-40 | 32 |
| „შინიკი" | 37 | 10 | 12 | 15 | 39-58 | 32 |
| „ყუბანი" | 36 | 10 | 9 | 17 | 36-65 | 29 |
| ასკ რ. | 36 | 8 | 11 | 17 | 46-65 | 27 |
| „კუზბასი" | 36 | 8 | 10 | 18 | 22-40 | 26 |
| „დაუგავა" | 36 | 7 | 6 | 23 | 25-63 | 20 |
| ასკ „კარპ." | 36 | 5 | 7 | 24 | 32-74 | 17 |

## სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

**გუშინ** გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის 28-ე ტურის შეხვედრები. გთავაზობთ მათ შედეგებს:

„დინამო" მ. — „ტორპედო" 0:0

„დნეპრი" — „როტორი" 3:1

„ჩერნომორეცი" — „მეტალისტი" 2:0

„დინამო" კ. — „არარატი" 4:1

„დინამო" მნ. — „სპარტაკი" 0:1

## II ლიგა

**გაიმართა** II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის შეხვედრები: „ნარტი" (ჩერკესკი) — „მერცხალი" (ოზურგეთი) 3:0, „ლოკომოტივი" (მინ. წყლები) — „კოლხეთი" (ფოთი) 0:0, „ხაზარი" (სუმგაითი) — „ატომმაში" (ვოლგოდონსკი) 2:1, „ხაზარი" (ლენქორანი) — „ტორპედო" (ვოლჟსკი) 1:0, „დინამო" (სოხუმი) — „ყარაბაღი" (აგდამი) 4:0, „კოლხეთი" (ხობი) — „ქიაფაზი" (კიროვაბადი) 2:0, „დილა" (გორი) — „ზვეზდა" (გოროდიშჩე) 4:2, „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „ტექსტილშჩიკი" (კამიშინი) 3:1, „შევარდენი" (თბილისი) — „ტერმისტი" (ბაქო) 7:1, „გოიაზანი" (ყაზახი) — „დინამო" (მახაჩყალა) 1:0.

### ანტისადოპინგო კონტროლი

ახალი სეზონიდან ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატში შემოღებულია სისტემატური ანტისადოპინგო კონტროლი. ყოველ ტურში წილისყრით აირჩევენ ორ მატჩს, რომლის მონაწილეები საგანგებოდ უნდა შემოწმდნენ. შემდეგ, ასევე წილისყრით, ავლენენ ორ-ორ ფეხბურთელს თითოეულ გუნდში და არკვევენ გამოიყენეს თუ არა მათ აკრძალული სტიმულატორები.

**მთავრდება** 1989 წელი და დასასრულს უახლოვდება ფეხბურთში იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრათა ციკლიც.

11 ოქტომბერს ევროპის საფეხბურთო მინდვრებზე გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის კიდევ 10 შეხვედრა, მათი შედეგების მიხედვით გაირკვა კიდევ რამდენიმე გუნდი, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში იასპარეზებენ. კერძოდ, გათამაშების ორგანიზატორებს — იტალიელებს და მსოფლიო ჩემპიონებს — არგენტინელებს ჯერ შეუერთდნენ კოსტა-რიკის, ბრაზილიის, ურუგვაის, შემდეგ კი იუგოსლავიის, ინგლისისა და ესპანეთის გუნდები. ასე რომ, ფინალისტთა რიცხვმა სადღეისოდ რვას მიაღწია.

### I ჯგუფი

ჯგუფში შედგა ორი მატჩი. ბულგარელმა ფეხბურთელებმა სოფიაში საბერძნეთის გუნდი მიიღეს და 4 უპასუხო ბურთი გაიტანეს მეტოქის კარში. ბერძენი ფეხბურთელები ნერვიულობდნენ, უხეშობდნენ და, როგორც სოფიიდან იტყობინებიან, 8 მოთამაშის შემადგენლობით დაამთავრეს მატჩი. რაც შეეხება ბულგარელებს, მათ ოთხივე ბურთი შესვენების შემდეგ გაიტანეს, ეს გააკეთეს ივანოვმა, ბანკოვმა, ისკრენოვმა და სტოიჩკოვმა.

კოპენჰაგენში ერთმანეთს შეხვდნენ დანიისა და რუმინეთის გუნდები. მოლოდინის საწინააღმდეგოდ რუმინელებმა ღირსეული მეტოქეობა ვერ გაუწიეს მასპინძლებს და დამარცხდნენ ანგარიშით 0:3. ანგარიში გახსნა ნილსენმა, შემდეგ კი ბ. ლაუდრუპმა და პაულსენმა კიდევ ორჯერ აიძულეს სტუმრები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში.

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 5 | 3 | 2 | 0 | 14-3 | 8 |
| რუმინეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-4 | 7 |
| ბულგარეთი | 5 | 1 | 1 | 3 | 6-7 | 3 |
| საბერძნეთი | 5 | 0 | 2 | 3 | 2-15 | 2 |



## იტალია-90

# მსოფლიო ჩემპიონატი



### II ჯგუფი

პოლონეთის ქალაქ კატოვიცეში ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრები ინგლისის გუნდს შეხვდა. როგორც იტყობინებიან, თამაშმა შედარებით ნორმალურ ატმოსფეროში ჩაიარა, თუმცა ადგილობრივ პოლიციურ რაზმებს შინაგანი ჯარებიც ეხმარებოდნენ და მათი გაერთიანებული ძალებით მოხერხდა დისციპლინის დამყარება. თუმცა, თამაშის დაწყებამდე ინციდენტები მაინც მოხდა, რამდენიმე ინგლისელი ხულიგანი გულშემატკივარი დააპატიმრეს.

თვით მატჩი პოლონელთა მცირე უპირატესობით მიმდინარეობდა. მძიმე სამუშაო დააწვა ინგლისელთა მეკარე შილტონს (აღსანიშნავია, რომ ინგლისელი მეკარე რ. შილტონი ახლა 40 წლისაა). მატჩი ფრედ დამთავრდა — 0:0 და ამ ქულამ ინგლისელებს ფინალის საგზური მოუტანა. შესარჩევ ჯგუფში მეორე ადგილზე გასული გუნდი ფინალური საგზურის მოსაპოვებლად საგანგებო დამატებით ტურნირში მიიღებს მონაწილეობას I და IV ჯგუფებში მეორე ადგილებზე გასულ გუნდებთან ერთად.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 6 | 3 | 3 | 0 | 10-0 | 9 |
| შვეცია | 5 | 3 | 2 | 0 | 7-3 | 8 |
| პოლონეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-5 | 3 |
| ალბანეთი | 5 | 0 | 0 | 5 | 2-13 | 0 |

### IV ჯგუფი

ჯგუფის ლიდერები ჰოლანდიელი ფეხბურთელები სტუმრად გამოდიოდნენ ქალაქ რექსჰემში უელსის გუნდის წინააღმდეგ, მათ გაიმარჯვეს კიდეც ანგარიშით 2:1, თუმცა ამ დღეს გუნდის შემადგენლობაში არ გამოდიოდა მისი ლიდერი გულიტი. 38-ე წუთისთვის ჰოლანდიელები წინ იყვნენ ანგარიშით 2:0 (რუტესი, რ. კულემანი), ამ მცირე დროში უელსელმა ბროუენმა შეძლო ერთი საპასუხო ბურთის გატანა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 5 | 3 | 2 | 0 | 5-2 | 8 |
| გფრ | 5 | 2 | 3 | 0 | 11-2 | 7 |
| ფინეთი | 5 | 1 | 1 | 3 | 4-13 | 3 |
| უელსი | 5 | 0 | 2 | 3 | 3-6 | 2 |

### V ჯგუფი

ბოლო წლების მანძილზე პირველად, როგორც იქნა, რიგიანად ითამაშეს ფრანგმა ფეხბურთელებმა, რომლებმაც პარიზში ანგარიშით 3:0 დაამარცხეს შოტლანდიის გუნდი. პირველი გოლი გაიტანა დეშამპმა, მეორე — კანტონამ, ხოლო მესამე ბურთი საკუთარ კარში გაიტანა შოტლანდიელთა მცველმა ნიკოლმა.

იუგოსლავიელებს უკვე განაღდებული ჰქონდათ ადგილი ფინალში, მათ სარაევოში მიიღეს ნორვეგიის გუნდი და გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0. ბურთი 11-მეტრიანით გაიტანა ჰაჯიბეგიჩმა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 7 | 5 | 2 | 0 | 14-5 | 12 |
| შოტლანდია | 7 | 4 | 1 | 2 | 11-11 | 9 |
| საფრანგეთი | 7 | 2 | 3 | 2 | 8-7 | 7 |
| ნორვეგია | 7 | 2 | 1 | 4 | 9-8 | 5 |
| კვიპროსი | 6 | 0 | 1 | 5 | 5-16 | 1 |

### VI ჯგუფი

ესპანეთის ნაკრებს უნგრელებთან შეხვედრაში ერთი ქულაც ჰყოფნიდა ფინალში გასასვლელად. ესპანელებმა ბუდაპეშტში ფრეს მიაღწიეს (2:2) და მიზანიც გაინაღდეს. სტუმრები პირველ ტაიმში წინ იყვნენ (სალინასი, მიჩელი), უნგრელებმა (პინტერი) შესვენების შემდეგ ორივე გოლი გაქვითეს და შეხვედრაც ასე დამთავრდა. ჯგუფში ახლა ბრძოლა მიმდინარეობს ფინალის მეორე საგზურის მოსაპოვებლად, ყველაზე უკეთესი შანსი სამისოდ კი ირლანდიის ნაკრებს აქვს. ირლანდიელებმა დუბლინში ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრები მიიღეს და გაიმარჯვეს 3:0 (ველანი, კასკარინო, ჰაფთონი). ირლანდიის გუნდს დარჩენილ მატჩში მალტის ნაკრებთან მეტოქის მინდორზე ფრეც ჰყოფნის ფინალში მოსახვედრად.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 7 | 5 | 1 | 1 | 16-3 | 11 |
| ირლანდია | 7 | 4 | 2 | 1 | 8-2 | 10 |
| უნგრეთი | 7 | 2 | 4 | 1 | 8-8 | 8 |
| ჩრ. ირლანდია | 8 | 2 | 1 | 5 | 6-12 | 5 |
| მალტა | 7 | 0 | 2 | 5 | 3-16 | 2 |

### VII ჯგუფი

ჯგუფში ლიდერობენ ბელგიელი ფეხბურთელები, რომლებმაც განვლილ ოთხშაბათს ბაზელში ფრედ ითამაშეს შვეიცარიის გუნდთან — 2:2.

ლუქსემბურგისა და პორტუგალიის გუნდების შეხვედრაში პორტუგალიელთა უპირატესობა ცხადი იყო — 3:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელგია | 7 | 4 | 3 | 0 | 14-4 | 11 |
| ჩეხოსლოვაკია | 6 | 4 | 1 | 1 | 10-3 | 9 |
| პორტუგალია | 7 | 4 | 1 | 2 | 11-8 | 9 |
| შვეიცარია | 6 | 1 | 1 | 4 | 8-10 | 3 |
| ლუქსემბურგი | 6 | 0 | 0 | 6 | 1-19 | 0 |

## საქართველოს პირველობა

**გაიმართა** რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი, 30-ე ტურის შეხვედრები.

**პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 2:4. მსაჯი ზ. დარჩია (თბილისი).** გოლები: მაღრაძე, სირაძე (პოლ. ინსტ.), გაბრიჭიძე, მშვენიერაძე, ფოცხვერაშვილი-2 („მეტალურგი").

**„მზიური" (გალი) — „დინამო" (გაგრა) 1:0. მსაჯი თ. ლორთქიფანიძე (თბილისი).** გოლი: კვეკვესკირი („მზიური").

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს კ. პაჭკორია („დინამო").

**„სულორი" (ვანი) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) 1:0. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).** გოლი: შარაშენიძე („სულორი").

**„შადრევანი" (წყალტუბო) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 4:1. მსაჯი დ. მენთეშაშვილი (თბილისი).** გოლები: სუხიაშვილი, გიორგობიანი, ფუტკარაძე-2 („შადრევანი"), ლილუაშვილი („საპოვნელა").

არასპორტული საქციელისთვის გააფრთხილეს მ. ტუკვაძე („საპოვნელა").

**„არაგვი" (დუშეთი) — „მალაროელი" (ჭიათურა) 3:0. მსაჯი ვ. ხუროიანი (თბილისი).** გოლები: ხულუზაური, ხუციშვილი, ბედუკაძე („არაგვი").

**ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 1:1. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).** გოლები: ხურცილავა (ფიზკ. ინსტ.), თედიშვილი („ბახტრიონი").

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ა. გაგნაშვილი („ბახტრიონი"), გაფრთხილების შემდეგ მან უხეშად ითამაშა, რის გამოც იგი მინდვრიდან გააძევეს.

**„არმაზი" (მცხეთა) — „ივერია" (ხაშური) 2:1. მსაჯი თ. ხადილიანი (თბილისი).** გოლები: მძევაშვილი, ხუბერაშვილი („არმაზი"), ქიმერიძე („ივერია").

ზუგდიდში სათამაშოდ არ გამოცხადდა ბოლნისის „სიონი". გამოუცხადებლობისთვის გუნდს წაგება ჩაეთვალა — 0:3.

### მეორე ჯგუფი

### აღმოსავლეთი ქვეჯგუფი

„მიონი" — სსი (მუხრანი) 1:2, „ჰერეთი" — „მეტალისტი" 2:1, „ალგეთი" — „თრიალეთი" 2:0, თსუ — „შირაქი" 2:1. მარნეულის „კოლმეურნემ" თეთრი წყაროს „გარისთან" ვერ უზრუნველყო მატჩის ჩატარების ორგანიზაცია, რისთვისაც მას დამარცხება ჩაეთვალა. გურჯაანის „ალაზანისა" და თელავის „კახეთის", აგრეთვე, საგარეჯოს „გარეჯისა" და სიღნაღის „ქიზიყის" მატჩების შედეგები გაპროტესტებულია.

### ცენტრალური ქვეჯგუფი

„აბული" — „საირმე" 6:3, „ჩიხურა" — „მეშახტე" 2:0, „ჩხერიმელა" — „ქართლი" 1:0, „მესხეთი" — „თორი" 3:3.

### დასავლეთი ქვეჯგუფი

„მშენებელი" — „ზანა" 1:1, „ფაზისი" — „მენავთობე" 2:0, „ბახმარო" — „სალხინო" 4:3, „ოდიში" — „იმერეთი" 1:2, პოლ. ინსტ. (ქუთაისი) — „ნარინჯი" 1:3.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 14 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შადრევანი" | 29 | 19 | 8 | 2 | 65-27 | 46 |
| „ივერია" | 29 | 14 | 6 | 9 | 46-39 | 34 |
| „მალაროელი" | 30 | 12 | 8 | 10 | 44-41 | 32 |
| „სპარტაკი" | 27 | 14 | 3 | 10 | 50-32 | 31 |
| „ამირანი" | 26 | 11 | 9 | 6 | 48-33 | 31 |
| „დინამო" ზ. | 23 | 13 | 4 | 6 | 56-24 | 30 |
| „მეტალურ." | 30 | 11 | 8 | 11 | 55-49 | 30 |
| „სულორი" | 29 | 11 | 8 | 10 | 44-44 | 30 |
| „სამეგრ." | 30 | 13 | 3 | 14 | 47-57 | 29 |
| „სქური" | 28 | 12 | 5 | 11 | 37-37 | 29 |
| „მზიური" | 27 | 11 | 7 | 9 | 41-38 | 29 |
| პოლ. ინსტ. | 28 | 11 | 6 | 11 | 59-59 | 28 |
| „სიონი" | 30 | 11 | 6 | 13 | 62-64 | 28 |
| „დინამო" გ. | 27 | 12 | 3 | 12 | 50-49 | 27 |
| „საპოვნელა" | 29 | 10 | 5 | 14 | 51-60 | 25 |
| „დურუჯი" | 29 | 11 | 2 | 16 | 43-76 | 24 |
| „არმაზი" | 28 | 7 | 10 | 11 | 27-34 | 24 |
| „ბახტრიონი" | 30 | 8 | 6 | 16 | 35-58 | 22 |
| ფიზკ. ინსტ. | 26 | 6 | 6 | 14 | 40-49 | 18 |
| „არაგვი" | 27 | 5 | 5 | 17 | 29-59 | 15 |

# თბილისელთა გამარჯვებით

**ბათუმში** მიმდინარეობდა „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს პირველობა ფეხბურთში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ 1973-74 წლებში დაბადებული ჭაბუკები.

პირველობას ერთმანეთს ეცილებოდნენ თბილისის, ბათუმის, სოხუმის, ქუთაისისა და ზუგდიდის ფეხბურთელები. შეჯიბრება წრიული სისტემით ჩატარდა. კარგად იასპარეზა თბილისის „ნორჩმა დინამოელმა", რომელმაც ერთნაირი ანგარიშით — 2:1 დაამარცხა ბათუმელი, ქუთაისელი და ზუგდიდელი თანატოლები და მხოლოდ ერთი შეხვედრა სოხუმის გუნდთან თბილისელებმა დაამთავრეს ფრედ — 1:1. 7 ქულა დააგროვეს და მიუწვდომელი გახდნენ მეტოქეთათვის. თბილისელმა ჭაბუკებმა ეს საპატიო თასი ზედიზედ მეორედ მოიპოვეს.

ამ ასპარეზობამდე თბილისელი ფეხბურთელები გამოდიოდნენ მინსკში გამართულ „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს საკავშირო ტურნირზე, სადაც ვერცხლის მედლებს დაეუფლნენ.

გუნდი შეჯიბრებისთვის მოამზადეს რესპუბლიკის დამსახურებულმა მწვრთნელებმა ო. გეგეჭკორმა და ბ. სიჭინავამ.



სურათზე: „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს პირველობაში გამარჯვებული თბილისის „ნორჩი დინამოელი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო ჩემპიონატი ძიუდოში

# ოქროს ფინალი

(დასასრული)

ლი აურელიო მიგელი. ადვილი შესაძლებელი იყო, ის ოქრო ჩვენს ფალავანს რგებოდა.

ან თუნდაც გასული მსოფლიო ჩემპიონატი გავიხსენოთ, სადაც კობამ მეხუთე ადგილი დაიკავა. მაშინ მას მეტოქეებმა კი არ აჯობეს, არამედ გაუგებრობამ თუ ბოროტმა ზრახვამ: მოსკოვში კობას უთხრეს, სამედიცინო გასინჯვით დადგინდა, სისხლში დოპინგი გქონია და სახლში უნდა დარჩეო. გამწარებულმა სპორტსმენმა რალაც სასწაულით მოახერხა საკუთარი სიმართლის დამტკიცება, მაგრამ იგი საჩემპიონოდ უკვე აღარ ვარგოდა — მისი მზადყოფნა უკიდურესმა ნერვიულობამ შეიწირა.

მაგრამ ახლ, როგორც იტყვიან, სამართალმა პური ჭამა: კობა კურტანიძემ დაამტკიცა, რომ იგი უძლიერესია მსოფლიოში 95 კგ წონით კატეგორიაში. მასთან ერთად გვინდა მივულოცოთ მის მწვრთნელს, საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ანზორ ქიბროწაშვილს — ამ დიდი გამარჯვების ერთ-ერთ სულისჩამდგმელს.

აი, რა თქვა კობა კურტანიძემ ფინალური შეხვედრის შემდეგ: ის (მონგოლი მოჭიდავე, რედ.) ფიზიკურად ძალზე ძლიერია და, რაც მთავარია, ჩემთვის „მოუხერხებელ" მეტოქეს წარმოადგენს: ცაციაა და ჭიდაობისას მარჯვენა მხრით მოდის. ვერაფრით ვერ „გავტეხე", ვერ დავიჭირე ილეთზე. ასეთ ვითარებაში ერთიღა დამრჩენოდა — ინიციატივა არ დამეკარგა. მერე კი დაე, მსაჯებს გამოეტანათ თავიანთი გადაწყვეტილება. როცა საქმე „პანტეიმდე" მივიდა, მე თვალები დავხუჭე და ველოდი, რას დამიძახებდა ტატამის ახლოს მდგარი შოთა ხაბარელი. როდესაც მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონი, ჩვენი რესპუბლიკის ძიუდოისტთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი დარბაზშია, მე მხოლოდ მისი ხმა მესმის და ამ ხმის მიხედვით ვჭიდაობ (ტელევიზორშიც მართლაც გარკვევით ისმოდა შ. ხაბარელის ხმა. რედ.) და მე უცებ ათას ხმაში გავარჩიე ქართული „მოიგე!" ეს ხაბარელის ხმა იყო.

კობა კურტანიძეს ვარჯიში გორში ბიძამისმა, გივი კურტანიძემ დააწყებინა. სამწუხაროდ, გ. კურტანიძე უდროოდ წავიდა ცხოვრებიდან, მაგრამ კობას თვალწინ ჰქონდა თავისი ბიძაშვილის, მიუნჰენის ოლიმპიადის ჩემპიონის შოთა ჩოჩიშვილის მაგალითი და კვლავ ბეჯითად განაგრძო ვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონი გორის ეკონომიკური ინსტიტუტის მესამეკურსელია, არის პროფკავშირული სპორტსაზოგადოების წევრი...

ბელგრადში კიდევ სამმა ქართველმა ფალავანმა უნდა იასპარეზოს და რაოდენ სასიხარულოა, რომ ყველაფერი ასე კარგად დაიწყო.

* * *

**ბელგრადი.** იუგოსლავიის დედაქალაქის სპორტის სასახლეში („პიონერი") გრძელდება ძიუდოისტ ვაჟთა მსოფლიო მე-16 და ქალთა მე-6 ჩემპიონატები. ხალიჩაზე პირველად მძიმე წონის ათლეტები გამოვიდნენ. საბჭოთა ნაკრების ღირსებას აქ ვაჟთა შორის 32 წლის ვეტერანი ჩელიაბინსკელი გრიგორი ვერიჩევი იცავდა (იგი ამ რანგის ტურნირებში მეოთხედ გამოდის).

სასტარტო შეხვედრა ვერიჩევს — მსოფლიოს 1987 წლის ჩემპიონს ევროპის 1989 წლის ჩემპიონთან, პოლონელ რაფაელ კუბაცკისთან ჰქონდა. გამარჯვება ამ ბრძოლაში პოლონელ ათლეტს დარჩა. ვერიჩევმა კარგად ჩაატარა ყველა მომდევნო შეხვედრები, რამაც, საბოლოო ჯამში, მას ბრინჯაოს მედალი მოუტანა.

გთავაზობთ ჩემპიონატის ტექნიკურ შედეგებს უკვე დამთავრებულ წონით კატეგორიებში:

**მძიმე წონა.** 1. ნ. ოგავა (იაპონია), 2. ფ. მორენო-გარსია (კუბა), 3. გ. ვერიჩევი (სსრ კავშირი) და რ. კუბაცკი (პოლონეთი).

**95 კგ.** 1. კ. კურტანიძე (სსრ კავშირი), 2. ბ. ოდვაგინი (მონღოლეთი), 3. მ. მაილინგი (გფრ) და რ. ვან დე ვალე (ბელგია).

**86 კგ.** 1. ფ. კანიუ (საფრანგეთი), 2. ბ. სპაიკერსი (ჰოლანდია), 3. ა. ლიუბენშტაინი (გდრ) და შ. ფრიუდენბერგი (გფრ)... ვ. ბუდიუკინი (სსრ კავშირი) უძლიერესთა ექვსეულში ვერ მოხვდა.

**78 კგ.** 1. კიმ ბუნ იუ (სამხრეთ კორეა), 2. ტაცუტო მოშიდო (იაპონია), 3. ბ. ვარაევი (სსრ კავშირი) და ვ. ლეგენი (პოლონეთი).

# ასეთი იყო სანდრო გლურჯიძე



საყვარელ ადამიანთან განშორება მუდამ ძნელია, მით უფრო, როცა საბედისწერო დღე მოულოდნელად, მოპარვით დგება. ან კი რა ჰქონდა საამისო ჯერ ხუთ ათეულ წელს მიუღწეველ, სიცოცხლით სავსე კაცს, მთელი ცხოვრება, ფიქრი და საქმე სიკეთის სამსახურს რომ შეალია?

ერისკაცობაში საქვეყნო საქმეს შეჭიდებულ ალექსანდრე გლურჯიძეს კეთილსინდისიერი, მშრომელი კაცის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. ასეთი სახელი შეიძლება ინატრო მხოლოდ. სპორტშიც სანდრო გლურჯიძეს იცნობდნენ, როგორც ღირსეულ მამულიშვილს, უღალატო მეგობარსა და სპეციალისტს, რომელმაც ქართულ კალათბურთს ბევრი მადლიანი სიტყვა შეაწია.

მის ადამიანურ თვისებებს შორის უმთავრესი ერთგულების უჩვეულოდ გამახვილებული გრძნობა იყო. ერთგულება — კოლექტივისა, სადაც აიდგა ფეხი და დაოსტატდა, ერთგულება — გამზრდელისა, რომლის რჩევებსაც მთელი ცხოვრების მანძილზე არ გადასულა, ერთგულება — საყვარელი სპორტისა, რომელმაც გამოუცდელი ახალგაზრდა დიდი ცხოვრების გზაზე გაიყვანა.



რომაელები ამბობდნენ ხოლმე: „გიყვარდეს ის უბრალო ხელობა, რომელიც შენ შეგისწავლია და კმაყოფილად მიგაჩნდეს იგი", ჩვენს დროში უბრალო საქმე არ არსებობს. ყველა საქმე დიდია და საპატიო, ოღონდ გააჩნია, ვინ როგორ ილვწის ამ საქმისთვის, ვის როგორი მსხვერპლის გაღება შეუძლია."

სანდრო გლურჯიძემ თავის არც ისე ხანმოკლე სპორტულ ცხოვრებაში გაცილებით მეტი გასცა, ვინემ მიიღო, თუმცა ამაზე ალბათ არასდროს უფიქრია. იმიტომ, რომ გულითა და სულით უყვარდა საქმე, იცოდა მისი ავი და კარგი და ამ ცოდნას მისსავე ინტერესებს ახმარდა მხოლოდ.

სპორტში ჭეშმარიტი შემოქმედი გახდა, ოღონდ გვიან, როცა ღრმად ჩასწვდა კალათბურთის სიბრძნეს, თორემ ბავშვობა ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ჰქონდა. არაფრით განებივრებული არ ყოფილა და ალბათ ამის გამოც უყვარდა სწავლა, უყვარდა სპორტი.

მოსწავლეთა კალათბურთი მისი პირველი ასპარეზი იყო. ამ ასპარეზზე გასვლა სულ მალე რამდენიმე ღირსსახსოვარი წარმატებით დაგვირგვინდა. მერე თბილისის „ბურევესტნიკში" სათამაშოდ მიიწვიეს. აქ, სამოციანი წლების ამ პოპულარულ კოლექტივში, ბედნიერი ნაცნობობა შედგა, ნიჭიერი შეგირდი სანდრო გლურჯიძე მხარში ამოუდგა საქვეყნოდ დაფასებულ ოსტატს — მიხეილ კეკელიძეს. ოსტატისა და შეგირდის ამ მეგობრობამ თბილისის „ბურევესტნიკს" და მთელ ქართულ კალათბურთს ბევრი სიხარული მოუტანა.

ორჯერ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იყო სტუდენტთა შორის. ერთხელ მსოფლიო უნივერსიადის პრიზიორი გახდა. ხშირად ეცვა რესპუბლიკის ნაკრები გუნდის მაისურა, მაგრამ უფრო ის ეამაყებოდა, რომ მიხეილ კეკელიძის აღიარებული თანაშემწე იყო, „ბურევესტნიკის" უცვლელი და ნდობით აღჭურვილი კაპიტანი.

სპორტში ყველა ნიუანსის ზუსტად ახსნა ძნელი საქმეა. არადა, „ბურევესტნიკი" ჩვენი კალათბურთის ნამდვილად ამოუხსნელი ფენომენი იყო. არასდროს არ ყოფილა ჩემპიონი, პრიზიორი, არასდროს არ ჰქონია საერთაშორისო ტიტულები, მაგრამ იყო ქართული კალათბურთის მასაზრდოებელი წყარო, მისი იმედი და მომავალი.

ამ უნიკალური ფენომენის ერთ-ერთი „თანაავტორი" სანდრო გლურჯიძეც გახლდათ: ბუნებით წინამძღოლი, დაუღალავი მშრომელი, შემოქმედი. იგი დაკვირვებით თამაშობდა და სხვებსაც ასეთ თამაშს ასწავლიდა. ოღონდ — ტაქტითა და იუმორით, თანატოლებს მისი უპირატესობა რომ არ ეგრძნოთ.

ასაკში შესული კაცი ზოგჯერ თავისივე სურვილის წინააღმდეგ სენტიმენტალური ხდება. მას შემდეგ, რაც სპორტს ჩამოსცილდა, სანდრო ხასიათის ამ ახალ შტრიხს შეძლებისდაგვარად მალავდა კიდეც. ბუნებით პრაქტიკოსი კაცი იყო და სპორტის სიყვარული მშენებლის პროფესიას დაუკავშირა.

ხშირად ამბობენ, სპორტი ცხოვრებას გვასწავლისო. დიახ, სპორტში ვლინდება ადამიანის ხასიათი, მისი თვისებები. სხვათა შორის, სპორტი იმასაც გასწავლის, რატომ უნდა გიყვარდეს შენი საქმე, ხალხი, მამული და როგორი თავგანწირვის ფასად უნდა დაამკვიდრო ცხოვრებაში ეს სიყვარული. სანდრო გლურჯიძე აქაც სამაგალითო იყო. ამიტომაც არის ამ ქვეყნიდან მისი უეცარი წასვლა ასე მწარე და დაუჯერებელი.

ამხანაგების ჯგუფი.

# სენა არ ნებდება

**1 ოქტომბერს,** „ხერეს"-ის ტრასაზე, ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატის მე-14 ეტაპი „ფორმულა 1" კლასის ავტომობილებით რბოლაში. გათამაშდა ესპანეთის „გრან პრი".

ტრასის სიგრძე 4,218 კმ-ია. მრბოლებმა 72 წრე უნდა გაიარონ, ე. ი. დაფარონ 303,696 კმ სიგრძის დისტანცია. რეკორდი ეკუთვნის ალენ პროსტს (1 წუთი და 27,845 წამი, საშუალო სიჩქარე — 172, 859 კმ/სთ).

- თავისი მე-40 საკვალიფიკაციო რბოლა შესანიშნავად ჩაატარა აირტონ სენამ და მეცამეტედ წლევანდელ სეზონში, სტარტზე პირველი ადგილი დაისაკუთრა. მეორე შედეგი აჩვენა გერჰარდ ბერგერმა, მესამე — ალენ პროსტმა.

სტარტი ჩვეული მანერით აიღო სენამ და უკვე პირველ წრეზე დიდი მანძილით გაუსწრო თავის მეტოქეებს. მას საბურავების გამოცვლაშიც არ დაუკარგავს დიდი დრო 7-8 წამში სენა კვლავ დაუბრუნდა ტრასას, ამ დროს ბერგერს იგი თითქმის 30 წამით უსწრებდა. საბოლოოდ სენამ პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი და 72 წრე გაიარა 1 საათში 47 წუთსა და 48,264 წამში. მან თანაგუნდელის შარშანდელი რეკორდიც გააუმჯობესა. მისი დროა — 1 წუთი და 25,779 წამი, საშუალო სიჩქარე — 177,022 კმ/სთ.

აირტონ სენამ მე-20 „გრან პრი" მოიპოვა და გაუთანაბრდა თავის თანამემამულეს — ნელსონ პიკეს. „მაკლარენმა" კი თავის აქტივში ჩაიწერა 51-ე საკვალიფიკაციო და მე-80 ეტაპი.

კვლავ დაძაბული ორთაბრძოლაა პირველობისთვის „მაკლარენის" ორ პილოტს შორის. შარშანდელი შედეგი, ალბათ, გახსოვთ — ალენ პროსტმა ჩემპიონზე მეტი ქულა დააგროვა, მაგრამ 11 საუკეთესო ქულის ჯამში იგი მეორე ადგილზე გავიდა. წელსაც იგივეა მოსალოდნელი.

**ასპარეზობის საბოლოო შედეგი:**

1. აირტონ სენა (ბრაზილია, „მაკლარენ-ჰონდა") — 9; 2. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, „ფერარი") — 6; 3. ალენ პროსტი (საფრანგეთი, „მაკლარენ-ჰონდა") — 4; ჟან ალესი (საფრანგეთი, „ტაირელ-ფორდი") — 3; 5. რიკარდო პატრეზე (იტალია, „უილიამს-რენო") — 2; 6. ფილიპ ალიე (საფრანგეთი, „ლოლა-დამბორგინი") — 1 ქულა.

**პირადი ჩათვლა:**

1. ალენ პროსტი — 76; 2. აირტონ სენა — 60; 3. ნაიჯელ მენსელი — 38; 4. რიკარდო პატრეზე — 30; 5. ტიერი ბუტსანი — 24; 6. გერჰარდ ბერგერი — 21; 7. ალესანდრო ნანინი — 17; 8. ნელსონ პიკე — 9; 9. ჟან ალესი — 8; 10-13. მიქელე ალბორეტო, ედი ჩივერი, დერეკ უორვიკი, სტეფან იოჰანსონი — 6-6; 14. ჯონი ჰერბერტი — 5; 15—19, მაურიშიო გუჟელმინი, სტეფანო მოდენა, ანდრეა დე ჩეზარისი, ალექს კაფი, პიერლუიჯი მარტინი — 4-4; 20. კრისტიან დანერი — 3; 21-23. რენე არნუ, მარტინ ბრანდლი, ჯონათან პალმერი — 2-2; 24-27. გაბრიელე ტარკვინი, ოლივიე გრუიარი, ლუის პერეს-სალა, ფილიპ ალიე — თითო ქულა.

**კონსტრუქტორთა პირველობა:**

1. „მაკლარენი" — 141; 2. „ფერარი" — 59; 3. „უილიამსი" —54; 4. „ბენეტონი" — 22; 5. „ტაირელი" — 16; 6. „ეროუზი" — 12; 7. „ლოტუსი" — 9; 8. „დალარა" — 8; 9—10. „ბრებემი". „ონიქსი" — 6—6; 11. „მინარდი" — 5; 12. „ლეიტონ-ჰაუსი" — 4; 13—14; „რიალი", „ლიჟიე" 3-3; 15—16. „ა-ჟე-სი", „ლოლა" — თითო ქულა.

თვის ბოლოს „ფერარისთან" კონტრაქტის ვადა უმთავრდება ჯონ ბარნარდს და მის ადგილს იკავებს არგენტინელი კონსტრუქტორი ენრიკე სკალაბრონი, რომელიც სტაჟირებას „ბრებემში" გადიოდა. ბარნარდს იწვევს „ბენეტონი".

საფრანგეთში, 59 წლის ასაკში გარდაიცვალა 60-იანი წლების ერთ-ერთი საუკეთესო ავტომრბოლი, ამერიკელი რიჩი გინტერი. იგი „ფორმულა—1" კლასის ავტომობილებით ასპარეზობდა და იცავდა „ფერარის", „ბე-ერ-ემისა" და „ჰონდას" ღირსებას.

ჩემპიონატის მომდევნო მე-15 ეტაპი გაიმართება 22 ოქტომბერს, იაპონიაში, „სუძუკას" ტრასაზე.

დავით ჩუბინიძე.

# „რეალის" პირველი ადგილი

**ძლიერმა** შემადგენლობამ მოიყარა თავი ესპანეთში გამართულ კალათბურთელთა საერთაშორისო ტურნირზე. აქ იყვნენ ჩემპიონთა თასის მფლობელი სპლიტის „იუგოპლასტიკა", თასების მფლობელთა თასის მფლობელი მადრიდის „რეალი", იტალიის ჩემპიონი მილანის „ფილიპსი" და ესპანეთის ჩემპიონი „ბარსელონა".

საინტერესოდ წარიმართა „იუგოპლასტიკას" და „რეალის" შეხვედრა. ეს კარგად ეტყობა მატჩის ანგარიშსაც. მინიმალური უპირატესობით გაიმარჯვა „რეალმა" — 72:71 (40:37). იტალიის „ფილიპსმა" დამაჯერებლად მოუგო „ბარსელონას" — 113:101 (56:44).

მეორე ტურში „იუგოპლასტიკა" შეხვდა „ფილიპსს". როგორც ზაგრების „სპორტსკე ნოვოსტი" აღნიშნავს იუგოსლაველთა გამარჯვება განაპირობა კარგად ორგანიზებულმა კოლექტიურმა თამაშმა 99:95 (55:38) — გაიმარჯვა „იუგოპლასტიკამ". მადრიდის „რეალმა" დაამარცხა თავისი ძველი კონკურენტი „ბარსელონა" — 86:75.

გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ მადრიდის „რეალი" და მილანის „ფილიპსი". ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა — 106:106. დამატებით დროში გამოიკვეთა ესპანელთა უპირატესობა — 124:117. „იუგოპლასტიკამ" სძლია „ბარსელონას" — 88:83 და მეორე ადგილზე დამკვიდრდა. მესამე „ფილიპსი" იყო.

მერაბ კალანდაძე.

# ჯონსონი—ყოფილი რეკორდსმენი

**როგორც** ცნობილია მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესმა მსოფლიო რეკორდსმენთა სიიდან ამოშალა კანადელი სპრინტერის ბენ ჯონსონის გვარი. ამიერიდან რეკორდის მფლობელი იქნება ამერიკელი კარლ ლუისი შედეგით — 9,92.

საერთაშორისო ფედერაციის ამ გადაწყვეტილების შეფასებისას სოკის პრეზიდენტმა განაცხადა: „შეიძლება ითქვას, რომ სოკ-იცა და საერთაშორისო ფედერაციაც დაინტერესებული არიან, რათა სამუდამოდ გადაუკეტონ გზა დოპინგს სპორტში.

კატეგორიული პოზიცია უკავია ამ საკითხში მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს პრიმო ნებიოლოსაც. მან პირდაპირ აღნიშნა: „ჩვენ სასტიკად დავსჯით არა მარტო სპორტსმენებს, არამედ იმათაც, ვინც მათ უკან დგას, კერძოდ მწვრთნელებს, მედიკოსებს და ოფიციალურ პირებს".

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10519